№ 154 სამშაბათი, 14 ივლისი 1909 წ. № 154

# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: რუსეთისა ხრიდანის პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ. [illegible]

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში [illegible] დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8-მდე. [illegible]

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ვაჩნ. ქ. N 12.
ტელეგრ. ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «Дроэба».
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირობა) 7 კაპ.


# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანად: [illegible] წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირობა) 7 კაპეიკი.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში: დიდი ვაჩნ. ქუჩ. N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



თეატრი ელექტრო-ბიოგრაფი

## მ უზ ა

მიხეილის პროსპ. N 163, [illegible]

დღეს, ახალი პროგრამმა სურათებისა:

1. ავსტრალიის ტყეში.
2. [illegible]
3. [illegible]
4. სიყვარულის ძალა.
5. მხიარული [illegible]
6. ზნეობის გაკვეთილი.

მაყურებლების თხოვნით პროგრამმისგარეშე წარმოდგენა იქნება:

● დოლი ირალნაში ●

[illegible] (1—ხალ.—4)



კონსტანტინე ასლანის ძე, გრიგოლ, სვიმონ, ალექსანდრე და დავით წერეთლები ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც წერილებით, დეპეშით თუ პირადის დასწრებით პატივი სცა

### თავ. დიმიტრი ასლანის ძე წერეთლის

დასაფლავების დროს. (1—სევ.—1)



## ქართული საზაფხულო თეატრი და ბაღი

ხუთშაბათს 16 ივლისს, ქართ. მსახიობთა ამხანაგ. მიერ გამართული იქნება

## საზოგადო სეირნობა და წარმოდგენა

ყველასათვის ხელმისაწვდნელ ფასებში.

წარმოდგენილი იქნება „დათვი" 1 მოქმ. ჩეხოვისა, გრ. ვოლსკის თარგმანი. „ოთხი იმერელი" სცენები 1 მოქმ. დ. მესხისა.

დასასრულ ფოტოგრაფიული ცხოველი სურათები (სინემატოგრაფი)

მონაწილეობენ: კარგარეთლისა, აბაშიძე, მესხი, გუნია, შალიკაშვილი და სხ.

ადგილების ფასი თეატრში 30 კ. 1 მ—მდე. ბაღში შესასვლელი ფასი 1 აბაზი.

**საზოგადოების საყურადღებოდ.** ვინც თეატრში ბილეთს იყიდის იმას უფლება აქვს რესტორანიდან მოითხოვოს მშვენიერი ვახშამი (ორი თავი შემწვარი და ტკბილეული) ბოთლი ღვინო და ამაში გადიხდის მხოლოდ ერთ მანეთს. (3—1)



ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

## ◀ ი-ზ-ა-ნ-ე-ბ-ა ▶

ქალთა კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვა-და-სხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების ნასიამოვნოდ, ყველასათვის ხელმისაწდომია. (10—ფ.—1)



გამოცდილი

## მასწავლებელი

(რუსი) ცძებს გაკვეთილებს. ამზადებს ყველა საშუალო სასწავლებელში. სპეციალურად—ლათინური და რუსული. ადრესი დასტოვეთ „დროების" რედაქციაში. (8—ნ.—1)



ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფელდმანი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—107)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ხაკეკუხი" ძალიან გაუკვირდა [illegible]

[illegible]

აბისელს.

გუშინდელი „ივერიაც" უსაყვედურებს ქართულ გაზეთებს—ინციდენტს არავითარი ყურადღება არ მიაქციესო. კერძოდ ჩვენ ყურად-

[illegible]

თველოს ამშენებლად და ბანკის დამაარსებელ-განმტკიცებლად გამოყვანა, როგორც ეხლა სჩადიან ზოგიერთები...


## საზაფხულო თეატრი და ბაღი თავ.-აზნაურობისა

## რესტორანი ამხ—ბა „იუჟანესი"

ყველაზე უფრო გრილი ადგილი ქალაქში არის „უზარმაზარ კაკლებს ქვეშ". განსაკუთრებული პავილიონი, დიდი აუზები და შადრევანები.

შეიძლება დაკვეთა სადილებისა და პიკნიკებისა. 2-დან 4 საათამდე და 9-დან 2 საათამდე უკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის მესამის ლოტბარობით. სადილები ორი კერძისაგან—60 კაპ., სამი კერძისაგან—80 კაპ., 4 კერძისაგან—1 მან. ფასები ზომიერია.

—◀ ბაღში შესვლა უფასოა. ▶— (4—0—3)



**ექიმი ა. ს. ალადაშვილი** ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—10)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** დროებით ქალაქიდან გავიდა. ავადმყოფების მიღებას ენკენისთვის პირველიდან განაახლებს. (10—2)

**კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი** (ყოფილი თანაშემწე ლ. შტრეიხერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და დრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—4)

**ექიმი ა. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—33.—10)


## ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში

### დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ივლისი

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: ინგლისისა და რუსეთის ელჩებმა სპარსეთის სამინისტროს ოფიციალურად შეატყობინეს, ჩვენი მთავრობები სულთან-ახმეტს სპარსეთის შაჰად სცნობენო. ორივე საელჩო სცდილობს, გადაყენებული შაჰი მალე წავიდეს სპარსეთიდან. შაჰად ნამყოფს თან გაჰყვება სამხედრო მინისტრად ნამყოფი, ცნობილი რეაქციონერი ბაგადაურ-ჯენგი.

**თეირანი.** კაზვინიდან იუწყებიან: 10 ივლისს ენჯუმენმა და აუარებელმა ხალხმა იდღესასწაულეს სპარსეთის ტახტზე სულთან-ახმეტ-მირზას ასვლა. დღესასწაულზე მიიწვიეს რუსეთის საკონსულო, რუსის რაზმის უფროსი და აფიცრები და რუსთა კოლონიის წევრები. დღესასწაულის დროს უკრავდა რუსის რაზმის ორკესტრი. სტუმრებს სადილი გაუმართეს. საღამოთი ქალაქი გაახჩირაღდნეს. სადილზე დალიეს ხელმწიფე-იმპერატორის სადღეგრძელო. რუსეთის კონსულმა თავის მხრივ სპარსეთის შაჰის სადღეგრძელო დალია. ორკესტრმა დაუკრა რუსული და სპარსული ჰიმნები.

### ჟურნალ გაზეთებიდან

**ოსმალეთის სამხედრო მზადება.**

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან: „ოსმალეთის ჯარის ინსტრუქტორები ფონ-დერ-გოლცფაშა საომარ მზადებას შეუდგა. ოსმალეთის სამხედრო სამინისტროში მან თათბირი გამართა სამხედრო მინისტრთან და სხვა გენერლებთან. გოლცმა ინახულა გენერალისიმუსი შევკეთ ფაშა, დიდი ვეზირი ხილმიფაშა და სხვა მინისტრები. ამბობენ, ვითომ ოსმალეთმა გადასწყვიტა ახალი ჯარი შეიყვანოს სპარსეთში, ხოლო ურმიაში მყოფი ჯარი დილმანსა და ხოიში გაგზავნოსო.

**რუსის დიპლომატია დაფიქრებულია**

რუსის დიპლომატთა წრეებში ხმა გავრცელდა, ვითომ სპარსეთის ახალი მთავრობა აპირებს ყაზახთა ბრიგადის მოსპობას და რუს-აფიცრების ნაცვლად ინსტრუქტორებად სხვა ეროვნების აფიცრების მოწვევასო. ამ ხმამ მეტად დააფიქრა რუსის დიპლომატთა წრეები. ამბობენ, ვითომ გერმანიის წარმომადგენლებმა თეირანში გერმანელ ინსტრუქტორების მოწვევა ურჩიეს სპარსეთის მთავრობასო. რუსეთის წარმომადგენელს თეირანში უბძანეს, რომ მან ბეჯითად დაიცვას რუსეთ-სპარსეთის სამხედრო კონვენცია, რომლის ძალით სპარსეთის ჯარის ინსტრუქტორებად რუსის აფიცრები უნდა იყვნენ.

10 ივლისს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი პეტერგოფს წავიდა სპარსეთის საქმეების თაობაზე მოსალაპარაკებლად.

**კონტრ-რევოლიუცია სპარსეთში.**

ბაქოდან ატყობინებენ „ნოვ. ტფილის"-ს „თეირანში" აღმოაჩინეს კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობა. შეთქმულობის მეთაურები დაატუსაღეს. შეთქმულობაში მონაწილეობა მიუღია ყაზახთა ბრიგადასაც, რომელსაც ქალაქის დაცვა მიანდო ახალმა მთავრობამ. ხალხი თხოულობს ყაზახთა ბრიგადის მოსპობას და შეთქმულობის მეთაურების სამაგალითო დასჯას.

**მამედ-ალი.**

სპარსეთის ახალმა სამინისტრომ მოსთხოვა რუსეთის საელჩოს, რაც შეიძლება ჩქარა წაიყვანეთ მამედ-ალი სპარსეთიდანაო. სამინისტრო ჰფიქრობს, რომ მამედ-ალის ყოფნა თეირანში აღფრთოვანებს და ამხნევებს ბნელ ძალებს, რომლებიც მუდამ მზად არიან კონტრ-რევოლიუციის მოსახდენადო.

ახალმა მთავრობამ მამედ-ალის სამუდამო პენსია დაუნიშნა—45,000 მანეთი წელიწადში. შაჰად ნამყოფი ძლიერ ცოტაობს ამ პენსიას და მომატებას თხოულობს. მთავრობამ


## რეალური სასწავლებელი ოზურგეთში

ამა წლის სექტემბრიდან ქალაქ ოზურგეთში უნდა დაარსდეს რეალური სასწავლებელი. საზოგადოებებმა თანხმობა გამოაცხადეს შემოიტანონ 60.000 მანეთი სასწავლებლის ასაშენებლად და 10.000 მანეთი პირველ მოსაწყობად, რომლის შეკრებას საზოგადოებანი უკვე შეუდგნენ. ეს თანხა სასწავლებლის სავსებით მოსაწყობად არ არის საკმაო. ამისათვის, მთელი გურიის წარმომადგენელთა კრების წინადადების თანახმად, სამაზრო სასკოლო კომისიამ დაადგინა, მიიღოს შემოწირულებათ იმ პირთაგან, რომელთაც სურვილი განაცხადეს და აწი განაცხადებენ დაეხმარნენ გურიაში რეალურ სასწავლებლის აღორძინებას.

წარმომადგენელთა კრების და სამაზრო სასკოლო კომისიის დადგენილების თანახმად, შემოწირული ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით:

Въ г. Озургеты, Городскому Старостѣ Бебуришвили для врученія казначею по реальному училищу кн. Димитрію Константиновичу Эристову. (10—3)



**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ვიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**— ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—63)



## იყიდება

იაფად **საავარაკო ადგილები**, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეტხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—ნ.—13)



● ექიმ ვ. ლამბაშიძის ●

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—4)



**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სხივ. კურნალობისა მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (110 9)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში** 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—16)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბაშონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა (0—586—193)

მოსთხოვა, რომ მან თავისი მამა-პაპეული განძები გადასცეს ახალ შაჰს, ხოლო დანარჩენი ქონება— ახალ მთავრობას.

**ახალი შაჰი.**

10 ივლისს ახალ შაჰს ახმედ-მირზის დიდ ძალი მოსალოცი დეპეშა მოუვიდა სხვაგნებურ ხელმწიფეებისაგან.

ახალ შაჰის ტახტზე ასვლის გამო დღესასწაული ჯერ არ გათავებულა. მთელი თეირანი მორთულია დროშებით და ლამფიონებით მოედნებზე მუსიკა უკრავს.

ახალი შაჰი 11 ივლისს თეირანიდან ისევ სულთანაბადის საზაფხულო სასახლეში გადასახლდა.

**პოლკოვნიკი ლიახოვი.**

ხმა დადის, რომ მეჯლისის გახსნის შემდეგ პოლკოვნიკი ლიახოვი რუსეთში დაბრუნდებაო.

**იარაღის აყრა.**

ახალი მთავრობა იარაღს ჰყრის ყველას, როგორც რევოლიუციონერებს, ისე რეაქციონერებს. შაჰის ჯარი, ყაზახთა ბრიგადის გარდა, დაშალეს და დაითხოვეს.

**ზილი-სულთანი.**

„რუს. სლოვო"-ს ატყობინებენ: „რუსეთის და ინგლისის მთავრობა წინააღმდეგნი არიან, რომ ტახტიდან ჩამოგდებულ მამედ-ალი-შაჰის ბიძა თეირანში დაბრუნდესო".

ზილი-სულთანი ამ ჟამად ვენაში ცხოვრობს და როგორც ხმა დადის, მის მომხრეებს უნდათ, იგი რეგენტად გამოაცხადონ აზდ-ელ-მულკის ნაცვლად.

**რეგენტი აზდ-ელ-მულკი.**

ახალ შაჰის მცირე წლოვანობისა გამო ეროვნულმა კრებამ რეგენტად დანიშნა ყაჯართა გვარეულობის უხუცესი პრინცი აზდ-ელ-მულკი. იგი ამ ჟამად 70 წლისაა, ნასროვდინ-შაჰის დროს მას ბევრი საპატიო თანამდებობა ეჭირა. მუზაფერ-ედინ-შაჰის დროს იგი ფეხ მოტეხით ცხოვრობდა თავის მამულში და მონაწილეობას არ იღებდა სახელმწიფო საქმეებში. ბუნებით იგი გულკეთილი და სათნოიანი კაცია და ყოველთვის ცდილობდა შაჰსა და ხალხს შორის უთანხმოების მოსპობას. თავის გონივრულ და სათნო ქცევით მან დიდი პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა სპარსეთის ხალხში. იგი არც თუ რეაქციონერია, არც თუ გულმოდგინე კონსტიტუციონალისტი, მაგრამ როგორც კეთილს და გონიერს კაცს, მას მაინც არ მოსწონდა მამედ-ალა-შაჰის მოქმედება; პირიქით იგი ყოველთვის ურჩევდა მამედ-ალის, რომ ხალხისთვის დაეთმო.

**პირველი მინისტრი.**

როგორც დეპეშებიდან ვიცით, სპარსეთის ახალ სამინისტროს მეთაურად, ანუ პირველ მინისტრად დაუნიშნავთ ცნობილი სპარსელი სახელმწიფო მოღვაწე ნასრ-ულ-მულკი.

იგი ბავშვობიდანვე წაიყვანეს ევროპაში სასწავლებლად; სწავლა დამთავრებული აქვს ინგლისში ოქსფორდის უნივერსიტეტში იგი არჩეულია ამავე უნივერსიტეტის საპატიო წევრად. ამას გარდა, ნასრ-ულ-მულკი ორი წლის განმავლობაში სწავლობდა პოლიტიკურ ეკონომიას ცნობილ გერმანელ პროფესორებთან.

მუზაფერ-ედინ-შაჰის დროს იგი რამდენჯერმე იყო ფინანსთა მინისტრად და ერთხელ პირველ მინისტრადაც, მას დიდი გავლენა ჰქონდა მუზაფერ-ედინზე, რომელმაც მის რჩევით გამოაცხადა კონსტიტუცია.

მამედ-ალი-შაჰმა პირველ მინისტრად დანიშნა ნასრ-ულ-მულკი; იგი მეჯლისის განადგურებამდე დარჩა ამ თანამდებობაზე, ხოლო მეჯლისის განადგურების შემდეგ საზღვარგარედ წავიდა. შაჰმა ბევრჯელ სთხოვა სპარსეთში დაბრუნებულიყო, მაგრამ მან არაფრად ჩააგდო მისი თხოვნა და ბოლოს დრომდე პარიზში ცხოვრობდა.

ნასრ-ულ-მულკი დიდად განათლებულ და ლიბერალ სახელმწიფო მოღვაწედ ითვლება სპარსეთში.

**„ნოვ. ვრემია"-ს პირუთვნელობა.**

თავის ორპირობით და წაქეზ-უკუქეზობით გათქმული რუსული გაზ. „ნოვ. ვრემია" ბოლოს დრომდე ამტკიცებდა, რომ რუსეთის ვაჭრობას დიდი ზარალი მოსდის სპარსეთის რევოლიუციისგან და ამიტომ აუცილებლად სჭიროა, რუსის ჯარი გაიგზავნოს სპარსეთში წესიერების აღსადგენადო. ეხლა-კი სულ სხვას ამტკიცებს ეს გაზეთი: ერთ მცოდნე კაცს უთქვამს მის თანამშრომლისთვის, რომ არც რუსეთის ვაჭრობას, არც რუსეთ-სპარსეთის ბანკს თითქმის არავითარი ზარალი არ მოსვლია სპარსეთის რევოლიუციისგანო, პირიქით, წელს რუსეთის ვაჭრობამ სპარსეთში უფრო იმატა...

**ახალ მთავრობის მანიფესტები.**

სპარსეთის ახალი მთავრობამ გამოსცა რამდენიმე მანიფესტი, რომლებმაც ძლიერ გაახარეს ხალხი. ერთს მანიფესტში ახალი შაჰი წინადადებას აძლევს სამინისტროს პარლამენტისა და სენატის მოწვევა დააჩქარეთ ხალხის დასამშვიდებლადო. შაჰი პირობას იძლევა, ხალხის ყველა სურვილს შევასრულებო. მეორე ბძანებაში შაჰი წინადადებას აძლევს სამინისტროს, წინად გამოქვეყნებული საარჩევნო კანონის გაყიდვა შეაჩერეთ, რადგან მალე ახალი კანონი გამოიცემა კონსტიტუციონალისტების სურვილის თანახმადო. ახალი სამინისტრო მარჯვედ მუშაობს. რევოლიუციონერები და ბახტიარები სამაგალითო წესიერებას იცავენ თეირანში. პროვინციებიც თან და თან მშვიდდებიან („რაზ.")

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.

13 ივლისი

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** 10 ივლისს სულთანმა დასასჯელს ზოგიერთს სასჯელი შეუმსუბუქა. იმათ, რომელთაც სიკვდილი ჰქონდათ გადაწყვეტილი, სატუსაღო მიუსაჯა. ამას გარდა, რეაქციონერებს დევნას აღარ დაუწყებენ და მათ შესახებ საქმეებს მოსპობენ. ქალაქი და ბოსფორი გაჩირაღდნებული იყო. ქუჩები სავსე იყო ხალხით. სრული წესიერება იყო. კომიტეტმა ყველა მინისტრის, ნოტბალსა და დეპუტატის პატივსაცემლად ნადიმი გამართა. ნადიმზე მოწვეული იყო 300 კაცი. ნადიმს დაესწრნენ ყველა ეკლესიის უფროსი, გარდა მსოფლიო და სომეხთა პატრიარქისა. დიდმა-ვეზირმა სიტყვა წარმოსთქვა და თავისუფლების პირველ სულთნის სადღეგრძელო დალია.

**სალონიკი.** 10 ივლისს ფინანსთა მინისტრმა ჯავიდ-ბეიმ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. ჯავიდ-ბეიმ განმარტა ეხლანდელ სამინისტროს პროგრამმა და სთქვა, ოსმალეთის ხალხი პატრიოტიზმით უნდა გაიმსჭვალოსო.

**სტამბოლი.** 10 ივლისს დიდმა ვეზირმა, ახალგაზრდა ოსმალთა მიერ გამართულ ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა: მადლობას ვუცხადებთ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს, რომელმაც ოსმალეთისთვის ამდენი იშრომა და ჩვენ ხალხს თავისუფლება მიანიჭა. იმედი მაქვს, კომიტეტი შემდეგშიაც არ დაიშურებს შრომას წესიერების დასამყარებლად და რეფორმების განსახორციელებლადო.

## საზღვარ-გარედ.

**ბუდაპეშტი.** ბუდაპეშტის გაზეთების რედაქტორებმა კრება გამართეს. თავმჯდომარეობდა ზედა პალატის წევრი ევგენი ფონ-რაკოზი. კრებამ განიხილა საფრანგეთის ჟურნალისტთა შუამდგომლობა დაეხმარენით ზაგრების პროცესის ბრალდებულებს, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ჰბრალდებათო. რედაქტორების კრებამ შემდეგი დაადგინა: ბრალდებულებს ხორვატიაში ასამართლებენ. ხორვატიას აქვს თავისი ავტონომია და მას თავგამოდებით იცავს. ჯერ სასამართლოს საქმე არ გაუთავებია და ხორვატებს არ ესიამოვნებათ, რომ ჰუნგრეთელი ჟურნალისტები ჩაერივნენ. ამას გარდა, ფრანგ ჟურნალისტებს საქმის გარემოება არა სცოდნიათ, ისინი ვილაცას შეცდომაში შეუყვანია. სასამართლო გაზეთის წერილების, პროკლამაციების და კალენდრების გავრცელების საქმეს როდი იმეორებს, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, რამდენად მართალია ისე, რომ სერბები სკოლებში და სხვა და სხვა პოლიტიკურ კავშირებში. ჰუნგრეთის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ, ჩუმად შეთქმულდათ იარაღი და არეულობას ამზადებდნენ, რათა ჰუნგრეთს ჩამოშორებოდნენ

**პარიზი.** ბრიანმა თანხმობა განაცხადა სამინისტროს შედგენაზე. ახალ სამინისტროში შემდეგი პირები შევლენ: მინისტრ პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი—ბრიანი, იუსტიციის—ლუი ბარტუ, გარეშე საქმეთა—პიშონი, ფინანსთა—კოშერი, საერო განათლების—დუმერგი, საზოგადო საქმის და ფოსტა-ტელეგრაფის—მილიერანი, ვაჭრობის—ჟან დიუპუი, მიწათ-მოქმედებისა—რიუსი, ახალშენებისა—ტრუილიო, შრომისა—ვივიანი. ჯერ არ იციან, ვინ იქნებიან სამხედრო და საზღვაო მინისტრებად.

**პარიზი.** სამხედრო მინისტრად დაინიშნა გენერალი ბრენი, საზღვაო მინისტრად—ადმირალი ბუე-დე-ლაპეირერი; პირველის ამხანაგად—საროლ, მეორეს—შერონი. მინისტრები და მათი ამხანაგები დილის 11 საათზე შეიკრიბნენ იუსტიციის სამინისტროში.

**ბერნი.** დასრულდა საერთაშორისო სოციოლოგიური კონგრესი.

**დარმშტადტი.** იწვის მაინცკარსკის რკინის გზის სადგური.

**პარიზი.** რესპუბლიკანური გაზეთები „რაპელი" და „ლანტერნის" გარდა, სიხარულით ეგებებიან ბრიანის სამინისტროს. პროგრესიული გაზეთები სწერენ, ჯერ-ჯერობით ვენდობით ახალ სამინისტროს და მის მოქმედებას მოუცდითო. ყველა გაზეთი კმაყოფილია, რომ გარეშე საქმეთა მინისტრად პიშონი დარჩა

**მელილია.** ოფიციალური ცნობით, ესპანელებისათვის 10 ივლისის ბრძოლაში მოუკლავთ 10, დაუჭრიათ 12 ოფიცერი, ერთი პოლკოვნიკი ტყვედ წაუყვანიათ, არ იციან დაჭრილია თუ მკვდარი. ამას გარდა დაუჭრიათ 270 ჯარის კაცი. მოკლულ ჯარის კაცთა რიცხვი ჯერ არ გამოურკვევიათ.

**ფრედერიკსტატი.** ინგლისის გემი „ბარკა გლადისი" დაეჯახა ინგლისის სათევზაო გემს. სათევზაო გემი ჩაიძირა. დაიხრჩო გემის ყველა მოსამსახურე—9 კაცი.

**ლონდონი.** გაზეთებს დუვრიდან ატყობინებენ, რომ ბლერიო თავის ჰაეროპლანით კალეს სრუტეზე გადაფრინდაო.

**დუვრი.** ბლერიომ ლამანშეს არხი 33 წუთში გადაიარა. ჰაეროპლანი არ გაფუჭებულა.

**ლონდონი.** მთავრობას საფინანსო კანონის სასარგებლოდ დიდი მანიფესტაცია გამართეს. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდა 90,000 კაცი. მანიფესტანტებმა თავი მოიყარეს ჰიდ-პარკში. ორატორებმა აქ რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. მანიფესტანტებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც სურვილია გამოთქმული, რომ მთავრობამ ჩქარა განახორციელოს საფინანსო კანონი.

## რ უ ს ე თ ი

**რიგა.** თავად-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებად აირჩია თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი ბარონი პილარი და ფონ-ტრანზეგე.

**პენზა.** ჩემბორის მაზრის შვიდ სოფლის საზოგადოებაში დიდი სეტყვა მოვიდა. სეტყვა სიდიდით ქათმის კვერცხის ტოლა იყო; გაფუჭდა 8,000 დესეტინა ნათესი. ზოგიერთ სოფლებში ქარმა სახლების სახურავები დაანგრია, სეტყვამ ბევრი შინაური ფრინველი დახოცა.

**ნოვოგრუდოკი.** დაიწვა ძმების ლეიტნეკერის ქარხანა.

**ნიკოლაევსკი** (ზღვის-პირისა). შანტარსკის კუნძულებზე სამხედრო-სატრანსპორტო გემის „კამჩადალ"-ით წავიდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და პროკურორი: ამათ უნდა გამოიძიონ იაპონელებისა და რუს ქვეშევრდომ გილიაკების საქმე. იაპონელები გილიაკებს თავს დაესხნენ და ზიანი მიაყენეს.

**სევასტოპოლი.** სამხედრო სასამართლომ დაამთავრა ორი მატროსის საქმე. ამათ ჰბრალდებოდათ 1905 წელს გემ „პოტიომკინზე" მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღება: სასამართლომ გადაუწყვიტა: ერთს სამი წლით და მეორეს 4 წლით ტუსაღთა განყოფილება.

**მარიუპოლი.** გათავდა 1905 წლის „პოგრომის" საქმის განხილვა. სასამართლოში გამოცხადდა 61 კაცი. აქედან სასამართლომ გადაუწყვიტა 16 კაცს ოთხი დღიდან ერთ თვემდე დაპატიმრება, დანარჩენები გაამართლა.

**სტრუმემშიცი** (პრივისლიანის რკინის გზა). სოფელ ზაკერკში ექვსი შეიარაღებული პოროტგანმზრახველი თავს დაეცა ერბეს ქარხნის კანტორას. ბოროტ-გამზრახველებმა გაიტაცეს 300 მანეთი. დააპატიმრეს 2 თავდამსხმელი, 1 მოჰკლეს.

**სარატოვი.** სერდობის მაზრაში ხელმეორედ დიდი წვიმა რა სეტყვა მოვიდა. სეტყვა სიდიდით ქათმის კვერცხს უდრიდა. დაზიანდა 2455 დესეტინა ნათესი. ზარალი 150,000 მანეთს უდრის. მინდორში სეტყვამ ბევრი ფრინველი და კურდღელი მოჰკლა.

**პენზა.** პენზის მახლობლად სულ მთლიანად დაიწვა მიწად-მოქმედების სამინისტროს დაბალი სატყეო სკოლა.

**ბადრინსკი.** ცეცხლმა სულ გაანადგუ-

# ს უ რ ა თ ი

ცის ჰორიზონტი ვარსკვლავებით მოჭედილია,
მთვარე კაშკაშა დაჰქათქათებს დაფენილ ველსა,
ჟუჟუნა წვიმა წყნარადა სცრის და ბუჩქში ია,
კდემა მოსილი, ირგვლივ აკმევს ტკბილსა სუნნელსა.

* * *

ცელქი ნიავი ელად დაჰქრის, მიდამოს არხევს,
სულს აცისკროვნებს ულრანი ტყის ფოთოლთ შრიალი
ვარდი ნამილი ნეტარების ცრემლებსა აფრქვევს,
ფერად კიდეებს ლოლად დასცქერს მთისა მწვერვალი.

* * *

ყვავილთ მიჯნური, იადონი საამოდ მღერის,
ძთისა ნაკადი სჩქეფს, ჩუხჩუხებს, ნაზობს, ნარნარობს,
ცა მოციმციმე ხავერდოვან მდელოს დაჰხარის,
შაშვი ჭახჭახებს, ნეტარებით ბუნება ხარობს.

ი. გრიშაშვილი.

# შეთანხმების იმედი

**1903 წლიდან 1909 წლამდე.**

**4.**

ავტონომიურ მოძრაობას საქართველოში დაუდგა ახალი ხანა. ქართველ ხალხის ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკურის გაბედულებით თავს ვერ მოიწონებდა, ახლა საერთო მოძრაობას აყოლებს ფეხს და იწყებს ლაპარაკს იმგვარის კილოთი და ენით, როგორადაც მას არასოდეს მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არ ულაპარაკნია. ჩვენ სახეში გვყავს საქართველოს ზოგიერთ ქალაქის მუნიციპალიტეტი და ქართველი თავად-აზნაურობა. ამ წრეებში ავტონომიისადმი თანაგრძნობა დღითი დღე იზრდებოდა. სოხუმის ქალაქის თავმა თ-დ ნ. ყ თავდგირიძემ საერობო და საქალაქო წარმომადგენელთა ბიუროში[1]) წარადგინა განსაკუთრებული მოხსენება რუსეთის დეცენტრალიზაციის საჭიროების შესახებ.[2]) განაპირა ქვეყნებს უნდა მიენიჭოთ სრული თვითმმართველობა საკანონმდებლო ფუნქციებითაო. კავკასიის პრინციპიალურად უნდა ჰქონდეს უფლება საერთო სეიმის მოწვევისა. მაგრამ იმპერიის და განაპირა ქვეყნების კეთილდღეობისათვის საჭიროა დადასტურება არა მარტო საოლქო ავტონომიების დაფუძნებისა, არამედ ეროვნულ ავტონომიებისაც. ამას ითხოვს ცხოვრების პრაქტიკული საჭიროება და იმპერიის ინტერესი, გონივრულად გაგებული. რაც შეეხება კერძოდ საქართველოს, მას ავტონომია უნდა მიენიჭოს აგრეთვე სხვა მოსაზრებათა ძალითაც. სახეში გვაქვს საქართველოს ისტორიული უფლებანიო[3]) აი მოკლედ შინაარსი ამ მოხსენებისა.

კიდევ უფრო მეტად საყურადღებოა მოხსენება განსაკუთრებულ კომისიისა, რომელიც ქუთაისის ქალაქის საბჭომ აირჩია ამ საგნის შესასწავლად.[4]) მოხსენების ავტორები პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის ნიადაგზე დგანან და საზღვრავენ ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების კომპეტენციას. ცენტრალურ ორგანოების გამგებლობაში უნდა იყოს: ძირითად საკონსტიტუციო კანონების გამოცემა, სამხედრო მმართველობა ომიანობის და მშვიდობიანობის გამოცხადების უფლება, საზოგადო ფინანსები, დამოკნა და საგარეო პოლიტიკის საქმეები (სავაჭრო, ერთა შორის დადებული ხელშეკრულებანი, დიპლომატიური მისიები), პიროვნულ და პოლიტიკურ უფლებათა აღიარება (ადამიანის უფლებათა დეკლარაცია), ფულის მოჭრა, სახელმწიფო ვალი და სხვა. ადგილობრივ ორგანოების გამგებლობაში უნდა იყოს: ადგილობრივ კანონების გამოცემის უფლება, ხარჯის აკრეფა, დამოუკიდებელი ადმინისტრაციის და სასამართლოს უფლება, ახალ ხარჯის გაწერის უფლება (право самообложенія), ადგილობრივი მეურნეობა, განათლების საქმე (ყოველ ხარისხის და ტიპის სკოლების დაარსება), დამოუკიდებელი ეკლესია.[5]) ამ მოხსენებაშიაც აღნიშნული უფლებანი, გახსენებულია იმპერატორ ალექსანდრე 1-ლის ყუმანი საქართველოს ავტონომიის გაუქმების დროს. ალექსანდრე პირველს გენერალ-პროკურორის ბეკლიმიშევის პირით შეუტყვია სახელმწიფო საბჭოსთვის „О крайнемъ отвращеніи Его Величества къ насильственному упраздненію автономнаго управленія въ Грузіи".[6]) დასასრულ, კომისიამ ქუთაისის ქალაქის საბჭოს წარუდგინა განსახილველად შემდეგი რეზოლიუცია:

1. ჩვენი ხალხის ეროვნულ-კულტურულ განვითარებისათვის საჭიროა მმართველობის დეცენტრალიზაცია.

2. განაპირა ქვეყნებში ეს დეცენტრალიზაცია უნდა გამოიხატოს ფართო პოლიტიკურ თვით-მმართველობის შემოღებაში, ხოლო სახელმწიფოებრივი ერთობა რუსეთის იმპერიის ნაწილისა უნდა იყოს დაცული.

3. საქართველოს ენიჭება ავტონომია. ტფილისში უნდა იქმნეს მოწვეული სეიმი საერთო, თანასწორ, ფარულ და პირდაპირ კენჭის ყრის უფლებით. ავტონომია დაემყარება ორგანიულ სტატუტებს, რომელიც იქმნება შემუშავებული ადგილობრივ დამფუძნებელ კრების მიერ.

4. საქართველოს ავტონომიის კონსტიტუცია უნდა იყოს დამტკიცებული რუსეთის პარლამენტში.

5. საქართველო, რომელიც შესდგება დღეს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა, ზაქათალის, სოხუმის და ბათუმის ოლქებისაგან, ერთ ავტონომიურ ერთეულს შეადგენს.

6. სხვა ერები საქართველოს საზღვრებში მცხოვრებნი თანასწორ უფლებებით სარგებლობენ.

7. ცენტრალურ პარლამენტში დეპუტატების არჩევის დროს საარჩევნო სისტემა უნდა დამყარდეს ტერიტორიალურ ერთეულებზე (при рѣшеніи вопроса объ избирательной системѣ желательны принять територ. группировку).

8. დაუყოვნებლივ და ერთ დროს უნდა იყოს მოწვეული როგორც სრულიად რუსეთის, ისე ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები. საყოველთაო, სწორის და ეროვნების განურჩევლად ფარულ და თანასწორ უფლებაზე დამყარებული. საქართველოს დამფუძნებელი კრება უნდა იყოს მოწვეული ტფილისში.

კომისიის აზრით, ეს მოხსენება უნდა იქმნას წარდგენილი მინისტრთა საბჭოს[7]).

როგორცა ჰხედავთ, ავტონომიის საკითხი თან-და-თან გაზეთის ფურცლებს თავს აღწევს და მიისწრაფვის ცხოვრებაში გაიმაგროს ფესვები. ოფიციალური ორგანოები გამოდიან ავტონომიის მოსარჩლეებათ და ეს პირველი ისტორიული ნაბიჯი იყო მის ცხოვრებაში განსახორციელებლად. მართალია, პირველ ნაბიჯს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ დიდი საქმისათვის ისტორიის პერსპექტივაც დიდი უნდა იყოს. მოვა დრო და პირველ ნაბიჯს მოჰყვება მეორე. და ეს მეორე ნაბიჯი, რაც გინდ შორეულ მომავალში იყოს იგი გადადგ ული, შესაძლებელი გახდება იმიტომ, რომ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ამგვარადვე თუ მეტად არა საყურადღებოა ავტონომიის აზრისადმი თანაგრძნობა თავად-აზნაურთა ინტელიგენტურ წრეებში. აი ის ადრესი, რომელიც გაუგზავნა თავად-აზნაურთა კრებამ ხელმწიფე-იმპერატორს. „ხელმწიფევ! ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა, პირველად შეიკრიბა რა საგანგებო კრებაზე სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრის დაბადების შემდეგ, უქვეშევრდომილესად ულოცავს თქვენს იმპერატორობის უდიდებულესობას და ხელმწიფე-დედოფლებს ამ სასიხარულო ამბავს, როგორც თქვენ უაგვისტოესის ოჯახისა, ისე რუსეთის სახელმწიფოსათვის.

მიუხედავად იმ სიძნელისა, რომელსაც რუსეთი იტანს, როგორც ბრძოლის ველზე, ისე შიგნით იმპერიაში, ქართველი თავად-აზნაურობა რწმენითა და იმედით შეჰყურებს მომავალს. ამ თავად-აზნაურობას კეთილის მომასწავებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ სამეფო ყრმის აკვანს აშუქებს ახალ ცხოვრების განთიადი, გადმოცემული ტახტიდან 8 თებერვლის რესკრიპტით. ეს რესკრიპტი პირველი სხივი იყო ომისა და უბედურების ძნელ წელიწადს.

„ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში, როდესაც რუსეთი მოწოდებულია შემოქმედებითი მუშაობისათვის, ქართველ თავად აზნაურობას, ისევ, როგორც მთელი ქართველ ხალხს დიდ რუსეთთან ერთობის ერთგულს, იმ ერთობის, რომელიც გამტკიცებულ იქმნა სამოქალაქო ასპარეზზე და აღბეჭდილ იქმნა ბრძოლის ველზე ერთ დროშის ქვეშ დაღვრილ სისხლით, მოძმე რუსის ხალხთან ერთად, მტკიცედ სწამს, რომ ახლოა ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის თავისუფლად არჩეული წარმომადგენელნი, ეროვნების, განურჩევლად, შეუდგებიან მოწყობას რუსეთისა და განაპირა ადგილებისას, მათ შორის საქართველოსაც, რომელიც შესდგება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებისაგან.

„თ-აზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისთვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის

*) იხ. „დროება" N 151.

1) მეხკვემი თუე მეწვეული.

2) Записка, поданная Сухумскимъ город. головой кн. Н. К. Тавдгиридзе въ бюро съѣзда земскихъ и городскихъ представителей, относительно необходимости проведенія въ государственный строй Россіи принципы строгой децентрализаціи 1906 г.

3) ibid. გვ. 12—13.

4) Записка особой комиссіи изъ гласныхъ избранной Кутаисской городской думой для разработки вопросовъ объ усовершенствованіи государственнаго благоустройства и улучшенія народнаго благосостоянія.

5) ibid. გვ. 6—7.

6) ibid. გვ. 17.

7) ibid. გვ. 20.

რა ქალაქ ფოლმატოვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი. ცეცხლი ოთხი დღე მძვინვარებდა. დაიწვა 111 სახლი. ზარალი 130,000 მანეთს უდრის. უსახლ-კაროდ დარჩა 426 კაცი. მათი მდგომარეობა აუტანელია.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 10 ივლისს ხოლერით ავად გახდა 68, გარდაიცვალა 29, ავად არის 775 კაცი.

ხოლერის მხრივ საშიშ გამოაცხადეს მინსკია და მოგილევის გუბერნიები.

**რეველი.** ავად გახდა და გარდაიცვალა სატუსაღოს ზედამხედველის ცოლი.

გუნგერბურგში ავად გახდა და გარდაიცვალა ერთი კაცი.

**რიგა.** ავად გახდა 4, გარდაიცვალა ერთი კაცი.

**ტვერი.** 9 და 11 ივლისს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 3 კაცი.

**არხანგელსკი.** ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2 კაცი.

**პეტერბურგი.** 12 ივლის ხოლერით ავად გახდა 69, გარდაიცვალა 29, ავად არის 755 კაცი.

**არხანგელსკი.** ავად გახდა 4, გარდაიცვალა 5 კაცი; მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა ერთი კაცი.

**პოლოცკი.** სენის დაწყებიდან აქნამდის ავად გახდა 173, გარდაიცვალა 42 კაცი.

**რიგა.** ავად გახდა ოთხი, გარდაიცვალა ერთი კაცი.

**ტვერი.** ნოვოტორჟის მაზრაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3 კაცი.

# კიდევ პროვოკატორი

### კორნეტი პონომარიოვი და გარტინგი.

კორნეტი პონმარიოვი გარტინგლანდეზენის თანაშემწედ იყო ბერლინში. როგორც სხვა პროვოკატორებს, პონომარიოვს პირველად მოქმედება სტუდენტობაში დაუწყვია. ყალბის ატესტატით პონომარიოვი შესულა უნივერსიტეტში და იქ მოკლე ხანში რუს სტუდენტებს შორის საპატიო ადგილი დაუჭერია, ბერლინში პონომარიოვმა ორი წელიწადი დაჰყო და ამ ხანში ყველა რუსი ემიგრანტი გაიცნო. საქმე იქამდისინაც კი მივიდა, რომ პონომარიოვი სალიტერატურო-სამხატვრო საზოგადოების მეორე თავმჯდომარედ აურჩევიათ. სწორედ ამ პონომარიოვის საშუალებით მოქმედებდა გარტინგი. ეს პონომარიოვი ერთ დროს სახელმწიფო სათათბიროს დამცველთა უფროსის თანაშემწედ იყო. პონომარიოვი გარტინგთან ერთად „გაქცეულა" ბერლინიდან. „რუს. სლოვოს" კორესპონდენტს გაუგია, რომ გარტინგი პონომარიოვითურთ თავისით-კი არ გაქცეულა ბერლინიდან, არამედ გერმანიის პოლიციას გაუძევებია. ესევე კორესპონდენტი სწერს, რომ ბერლინში ძალიან დაინტერესებულნი არიან გარტინგის და საზოგადოდ რუს პოლიციის მოქმედებით და რამდენიმე პირი უკვე შეუდგა მასალების შეკრებასა. ჯერ-ჯერობით გამოურკვევს, რომ რუსეთის საიდუმლო პოლიციას პროვოკატორობაში დიდი პირები ჰშველიან: იმდენად დიდი პირები, რომ ვერ დავასახელებთო, ამბობენ თურმე, მაგრამ მაინც განზრახულია გამოაქვეყნონ ამ პირების სია და მათ მოქმედება.

### კ ე ნ ს ი ც კ ი.

„რუსკოე სლოვოს" პეტერბურგიდან ატყობინებენ: 1904 წელს ვარშავაში დააპატიმრეს პოლონურ სოციალისტურ პარტიის „პროლეტარიატის" წევრები და მათ შორის კენსიცკი, ინჟენერ შენიავსკი და რედენიო. კენსიცკიმ დაპატიმრებისთანავე ყველაფერი სთქვა. მან დამცველ პოლიციას პირობა მისცა, გამანთავისუფლეთ და თქვენი აგენტი გავხდებიო. პოლიცია დასთანხმდა და მალე გაანთავისუფლეს. დამცველ პოლიციას გადაუწყვეტია, სხვა ბრალდებულებისთვის არ ეჩვენებინა კენსიცკის მიერ დაწერილი განაჩენები და მხოლოდ ესარგებლნათ მისი ჩვენებებით, მაგრამ რადაც მიზეზით კენსიცკის მიერ დაწერილი განაჩენები შენიავსკისთვის მაინც ეჩვენებინათ. შენიავსკიმ ამხანაგებს შეატყობინა, რომ კენსიცკიმ გაგვცა. კენსიცკიმ იმით გაიმართლა თავი, რომ შენიავსკის ყალბი განაჩენები აჩვენესო. „პროლეტარიატის" პარტიამ გაამართლა იგი, მაგრამ პარტიიდან მაინც გამორიცხა. სატუსაღოდან გამოსვლის შემდეგ კენსიცკი რამდენიმე ხნით ვარშავაში დარჩა და დამცველ პოლიციას სხვადასხვა ცნობას აწვდიდა. რადგან იქ საქმე ცოტა ჰქონდა, ავსტრიაში წავიდა, შემდეგ იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. 1905 წლიდან კენსიცკი გარტინგის ხელმძღვანელობით მუშაობდა. იგი უმთავრესად მაქსიმალისტებისა და ანარქისტების წრეებში მუშაობდა და დიდი გავლენაც მოიპოვა. კენსიცკი რასაც იგებდა, გარტინგს ატყობინებდა. მან გასცა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის „პროლეტარიატთა" წევრები და საფრანგეთის პოლიციას აცნობა ფრანგ ანარქისტების მოქმედება.

### გ ე რ ც ი გ ი.

გერციგიც გარტინგის თანამშრომელი იყო. იმის შესახებ უკვე ვწერდით. ეხლა კიდევ ბევრი რამ გამოირკვა მის შესახებ. სხვათა შორის ისიც, რომ გერციგი გარტინგის ხელმძღვანელობით რუსეთის საროსკიპო სახლებს „ცოცხალ საქონელს" აწვდიდა. გერციგი შეხედულობით სულ ახალგაზრდა კაცია—23-24 წლისა. იგი რუსეთის ყველა რევოლიუციონერ პარტიაში და ჯგუფში მუშაობდა: იყო სოციალისტ-რევოლიუციონერი, მენშევიკი, ბუნდოვსკი, ზუბატოვის შესახებ და უკანასკნელად ბოლშევიკი. იგი ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტად ითვლებოდა. წერილებს ვინმე ბეკჩეევის სახელზე იღებდა. სრულებით შემთხვევით ჟენევაში მეორე ბეკჩეევიც აღმოჩნდა. ამ ბეკჩეევს ჩაუვარდა გარტიგის წერილი. წერილი გარტინგთან იყო მიწერილი ასე, რომ სრულებით შემთხვევით გამოირკვა გერციგის პროვოკატორობა. გერციგს დაუნიშნეს საამხანაგო სასამართლო. სასამართლომ დაადგინა გერციგის გვარი და სახელი გაზეთებში გამოაცხადოს და ყველას აცნობოს, რომ იგი პროვოკატორია. გერციგი თავს მართლულობდა—ავადმყოფი კაცი ვარ, ექიმების მოწმობაცა მაქვს, რომ ჩემდა უნებურად ვმოქმედებდიო და სხვა ამისთანაები, მაგრამ ამან ვერ გასჭრა და მისი სახელი და გვარი გაზეთებში გამოაცხადეს.

როგორც ზემოდაც ვთქვით, გერციგი საიდუმლო პოლიციის აგენტების გარდა სხვაგვარ მუშაობასაც ეწეოდა—იგი რუსეთის საროსკიპო სახლს „ცოცხალ საქონელს" აწვდიდა. ეს საქმე ერთმა ახალგაზრდა ქალმა გამოარკვია. გერციგი ჟენევის გაზეთებში ყოველ დღე განცხადებებს ჰბეჭდავდა. ამ განცხადებებით გერციგი ახალგაზრდა ქალებს რუსეთში იწვევდა გუვერნიორებად და სხვა ადგილებზე. ერთ დღეს გერციგთან მისულა ერთი ქალი, სულ 19-20 წლისა. ქალი ლამაზი აღმოჩენილა და გერციგი გაჰრიგებია თვეში 1000 ფრანკად. (370 მანეთზე მეტი). ქალს ეჭვი შეჰპარვია, გუვერნანტკა ქალს ამდენ ფულს ვინ მისცემსო და პოლიციისთვის უცნობებია. პოლიციას გერციგის სახლი გაუჩხრეკია და აღმოუჩენია, რომ გერციგი საროსკიპო სახლების აგენტი ყოფილა და ამას გარდა რუსეთის საზღვარ-გარეთის საიდუმლო პოლიციის აგენტიც!! გერციგს აქაც თავის მართლება დაუწყვია, ავადმყოფი კაცი ვარ, მაგრამ იგი ჟენევიდან გააძევეს. ეხლა იგი ბრიუსელში განცხრომით სცხოვრობს.

### გარტინგი, საროსკიპო სახლების აგენტი.

გერციგის სახლის გაჩხრეკის დროს პოლიციას უპოვნია პეტროვსკის წერილები (პეტროვსკი, როგორც ვიცით, გარტინგის ფსევდონიმია). ამ წერილებიდან ნათლად გამორკვეულა, რომ გერციგი გარტინგის ხელმძღვანელობით მუშაობდა. წერილებში სხვათა შორის, ხშირად ამისთანა სიტყვებია: „როგორ არის ჩვენი დების საქმე. რუსეთში რამდენ ცალს გავგზავნითო" და სხვა. ამავე წერილებიდან გამორკვეულა, რომ მონტრეს ბანკის გაცარცვა გარტინგის საქმე ყოფილა. ამასვე მოუწყვია ბაქოელ ნავთის მრეწველ ბიუროს სახლის გაქურდვა ქალაქ ლოზანაში.

### გარტინგი ბელგიაში.

„რეჩს" 6 ივლისის თარიღით ბრიუსელიდან დეპეშით ატყობინებენ; აქ ნათლად დაამტკიცეს, რომ რაც ბელგიაში ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში „ამბები" მომხდარა, სულ გარტინგის ჩადენილიაო.

### ა ზ ე ფ ი.

ამ რამდენიმე წლის წინად რატაევში (რუსეთის საზღვარ-გარეთის პოლიციის ყოფილი უფროსი) გაზეთ „მატენ"-ში წერილი დასტამბა. რატაევი ამტკიცებდა, რომ აზეფი პროვოკატორი არ იყოო. რუსეთის გაზეთების სიტყვით, ბურცევს უთქვამს, ამ დღეებში გამოვაქვეყნებ ისეთ მასალებს, საიდანაც ყველა დაინახავს, რომ აზეფი აწყობდა ტერორისტულ აქტებსო.

### სად არის გარტინგი?

გაზეთები სწერენ, გარტინგი ამ ჟამად ლონდონშიაო. „რუს. სლ." სიტყვით, პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, გარტინგი ეს ორი კვირაა პეტერბურგში სცხოვრობს. ამ დღეებში იგი ერთ რესტორანში და ქუჩაშიაც უნახავთ. გარტინგი გრიმით დადის, მაგრამ მისი ცნობა ადვილია თურმე.

### გარტინგს პენსია დაუნიშნეს.

გაზეთ „რუდ"-ს სარწმუნო წყაროდან გაუგია, რომ გარტინგი ლანდეზენს პენსია დაუნიშნეს, წელიწადში 5,000 მანეთიო. გარტინგი სამხრეთ აფრიკაში წავა და მაშინ დაბრუნდება რუსეთში, როდესაც მისი საქმე ჩაიფარცხებაო.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **კრება ერობის შესახებ.** დღეს, 14 ივლისს, თავად-აზნაურთა თეატრში, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდება პირველი თათბირი ერობის შესახებ. ამ თათბირზე მიწვეულია 50-მდე გარეშე კაცი, არა მოხელე. თათბირი დაიწყება საღამოს 8 საათზე.

✦ **ქალაქის წარმომადგენელნი თათბირზე.** ტფ. გუბერნატორის წინადადებით, დღევანდელ საეროთ თათბირში მონაწილეობის მისაღებად ქალაქის თავმა ქალაქის მხრივ დაასახელა შემდეგი პირები: პ. ს. ლამბაროვი, გ. პ. სტეფანოვი, გ. მ. თუმანოვი, ა. ს. ფიშერი, ს. პ. ეირანოვი, ა. ს. ფირალოვი, ა. ა. ქალანთარი. ა. მ. არგუთინსკი, ვ. ი. რცხილაძე, ი. ს. ჯაბადარი, ს. ა. დანდუროვი, ლ. თ. ტიგრანიანცი, გ. ი. ხატისიანცი, ს. ქრელაშვილი, გ. ნ. ხუნუნცი, მ. ვესელოვზოროვ, ი. ა. აბელოვი, ა. ი. სააკოვი, გენ. არ. ბებუთოვი, ა. გ. ჯაბადარი, გრ. ნ. დიასამიძე, იბრ. ბ. ვექილოვი, გუსეინ მინასაზოვი, ა. ი. ხატისოვი, პ. მ. არგუთინსკი, ს. რ. ვახვახიშვილი, ს. ვაწაძე, ვ. ლუნკევიჩი და ი. მ. დოლუხანოვი.

✦ **აკაკის წასვლა საზღვარგარედ.** კვირას, 12 ივლისს, საღამოს აკაკი წერეთელი საზღვარგარედ წავიდა. მგოსანი ბათუმის მხრით გაემგზავრა. გზად შეივლის სტამბოლში, გაიცნობს იქ სტამბოლელ ქართველებს და შემდეგ საფრანგეთს წავა. მგოსანი საზღვარგარედ შემოდგომამდე დარჩება.

✦ **პოლიციელის მოკვლა.** 12 ივლისს არარატის ქუჩაზე, ნაშუადღევის 3 საათზე ვიღაც ბოროტგანმზრახველმა ხუთჯერ რევოლვერი ესროლა და იქვე მოჰკლა „გოროდოვოი" კონრატ ბერესტოვი. უცნობი მიიმალა. ალყა შემოარტყეს იმ ადგილს და 41 კაცამდე უპასპორტო დააპატიმრეს. ერთ დაპატიმრებულზე, აკოფ ზახაროვზე ამ მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს.

✦ **საბანოების უქონლობა.** ათი წელიწადია, რაც ქალაქის თვითმმართველობაში აღიძრა ლაპარაკი საზაფხულო საბანოების მოწყობის შესახებ მტკვარზე. დღემდე ქალაქის თვით-მმართველობამ ეს აზრი ვერ განახორციელა. საბანოებლები რომ იყოს. არც იმდენი უბედურება მოხდებოდა, რამდენიც ხდება, თვე არ გავა ისე, რომ ორი-სამი კაცი მტკვარმა არ იმსხვერპლოს.

✦ **დაპატიმრებულთა შესახებ.** როგორც „კავკაზ"-ი გადმოგვცემს, მართალი არ გამოდგა ის ამბავი, ვითომ მოესპოთ საქმე იმ სომხებისა, რომელნიც [illegible] პარტიის წევრობისთვის სამართალში არიან მიცემულნი [illegible] კარგულება მოუხდენიათ, რომ 20 ივლისამდე ყველა საქმე ამათ შესახებ ჟანდარმთა გამომძიებელს გადასცენ.

✦ **დაპატიმრებული.** 12 ივლისს პოლიცამ სასახლის ქუჩაზე სათავად-აზნაურო ქარვასლის ეზოში დააპატიმრა ტფ. მცხოვრები ნიკოლოზ ლოლაძე, რომელიც ტფილისში არმენაკ ოჰანიანცის პასპორტით სცხოვრობდა. ლოლაძეს ჰბრალდება 1908 წელს კონსტანტინე მირაქოვის გატაცება. ამის გამო იგი გადასახლებულ იქმნა არხანგელსკის გუბერნიაში, მაგრამ იქიდან გამოქცეულა თავრიზში ჩასულა და მონაწილეობა მიუღია სათარ-ხანის რაზმში. ორჯელ ფეხში დასჭრეს კიდეც ლოლაძესთან ერთად დააპატიმრეს აგრეთვე კონსტანტინე კურონაშვილი.

✦ **მეეტლების ჯარიმა.** გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფ. ქალაქის გამგეობას, დაუბრუნოს მეეტლებს ის 3000 მან., რომელიც მათ ჯარიმად გამოართვეს გადასახადის დროზე შეუტანლობისა გამო. გამგეობამ დაადგინა, საბჭოს მოხსენება წარუდგინოს ამ საქმის შესახებ.

✦ **ვაჭრობა ბანკში.** გუშინ, 13 ივლისს, ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში დაიწყო ვაჭრობა ბანკში დაგირავებულ იმ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონებმა სავალო გადასახადი ვერ შეიტანეს.

✦ **უპასპორტოები.** 11 ივლისს პოლიციის მე 4 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 14 უპასპორტო კაცი.

✦ **500 მანეთი სომხურ საზოგადოებისთვის** ამიერ-კავკასიის საერო ბანკიდან სომხურ შინა-მრეწველების საზოგადოებისათვის მთავრობას შემწეობა დაუნიშნია. საზოგადოებას სამი წლის განმავლობაში (1909—1910 წლ.) მიეცემა ხუთასხუთასი მანეთი წელიწადში.

✦ **„მოსავალი"** მოგვივიდა სასოფლო-სამეურნეო გაზეთის მოსავლის მეხუთე ნომერი.

✦ პატრულებმა ვორონცოვის ქუჩაზე

---

სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით მასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა გამგეობისა. ეს კანონები უნდა დადგენილ იქმნას ადგილობრივ წარმომადგენლებითი კრების მიერ არჩეულს მთელის სმქართველოს მცხოვრებთა მიერ საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით.

„ქართველი თავად-აზნაურობა, ზემოდ აღნიშნულს წარადგენს რა თქვენის იმპერატორობითი უდიდებულესობის ფერხთა წინაშე, ღრმად დარწმუნებულია, რომ ასურათებს თავის მოვალეობას ტახტისა და სამშობლოს წინაშე".

44 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4 ხმისა, ადრესი კრებაზე მიღებულ იქმნა[8]).

ეს დოკუმენტი საგულისხმოა. კარის კაცთა ეტიკეტი და წესი მასში სავსებით არის დაცული, ხოლო ამასთან, გზა-გზა, ავტონომიის საზღვრებიც არის ნაჩვენები და არც ოთხ-მუხლიანი საარჩევნო ფორმულაა დავიწყებული. დრონნი მეფობენ რომ იტყვიან, ითქმის სწორედ ამ ისტორიულ დოკუმენტის შესახებ! არა ნაკლებად საგულისხმოა ის კამათი ავტონომიის შესახებ, რომელიც აღიძრა სათავად-აზნაურო კრებაზე 1 აპრილს 1905 წელს. თუმცა ამ ამოწერებით მეტად რთულდება ეს წერილი, მაგრამ, რადგან ყველა ამ მასალის ერთად მოყრას მისი დაფასებისათვის მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყური დაუგდოთ იმ კამათსაც, რომელიც კრებაზე აღიძრა და გაზეთის ფურცლებზე ჩაიწერა.

**მ. მაჩაბელი.** დღეს დაგვიდგა საყურადღებო დრო, სწორედ ისეთი, როგორიც ამ ასი წლის წინად გამოიარა ჩვენმა სამშობლომ. კრიტიკულის თვალით რომ განვსაჯოთ წარსული, დავინახავთ, რომ რუსეთის გვირგვინოსანთ უყვარდათ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ბიუროკრატია ხელს უშლიდა, რომ მათ ეს სიყვარული საქმედ ექციათ. ამ ბიუროკრატიას უნდა შევებრძოლოთ ჩვენ ყველანი. დღევანდელი ქანც-გამოლეული საქართველო არ უნდა ოცნებობდეს პოლიტიკურად განკერძოებას რუსეთისაგან. ამ ოცნებით ჩვენ განვარისხებთ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ელემენტებს. ამ რიგად არსად არ მოუპოვებია ხალხს ავტონომია. დიდებულმა გლადსტონმაც ვერაფერი გააწყო, ირლანდიას ავტონომია ვერ მოუპოვა და დაიღუპა. შევუერთოთ ჩვენი ხმა დიდი რუსეთის ხმას და მოვითხოვოთ ის, რასაც ისინი ითხოვენ და არა ავტონომია.

**ვ. მუსხელიშვილი.** გავიხსენოთ დიდებული აზრი—„მიეცით ხალხს თავისუფლება, რათა შეძლება ჰქონდეს შეითვისოს იგი. კამათი იმის შესახებაა, მომზადებულია თუ არა ჩვენი ხალხი ავტონომიისათვის, ვითხოვოთ თუ არა ავტონომიაო. თუ არ მოგვეცა ავტონომია და პეტერბურგში დაარსდა რუსეთის მმართველი ცენტრალური ორგანო, იქ ჩვენი წარმომადგენელთა რიცხვი მეტად მცირე იქნება და ვერ მივაღწევთ საწადელს. პოლიტიკური ავტონომია სეპარატიზმს, რუსეთისაგან განცალკევებას არ ნიშნავს. მხოლოდ ჩვენ ვითხოვთ, რომ აქ, ტფილისში, დაარსებულ იქმნას ჩვენთვის პარლამენტი. მიეცით ხალხს საშუალება მოაწყოს თავისი საკუთარი საქმე და თქვენის თვალით დაინახავთ, რომ იგი შეიძენს თვითმმართველობის უნარს.

**დავ. ჯორჯაძე.** ბ-ნ მ. მაჩაბელს ან არ ესმის, რა არის ავტონომია, ან განგებ ამახინჯებს ავტონომიის მნიშვნელობას. მიაქციეთ ყურადღება ფინლიანდიის და პოლონეთის ყოფილ ავტონომიას და მიხვდებით, რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას ხალხის ცხოვრებაში.

**გ. ყურული.** აქ გამოითქვა აზრი ჩვენი მოუმზადებლობის შესახებ. ასის წლის განმავლობაში ჩვენი ხალხის ზრდა-განვითარების წინააღმდეგ ბიუროკრატიის მიერ ხმარებულმა ყველა საშუალებამ ვერ გატეხა ჩვენი ხალხი, რომელიც დღესაც სცოცხლობს. ძლიერ სცდილობდნენ დაებრკოლებინათ ჩვენის ენისა და მწერლობის განვითარება. მაგრამ ენაც და მწერლობაც განვითარდა. მეც ვერიე მთავარ-მართებელთან დეპუტაციაში, რომელიც შუამდგომლობდა ჩვენი მიწის სივიწროვებისათვის მოეგვარებინა რამე. მთავარმართებელმა გვიპასუხა, როგორ არ იცით, რომ ყველა თავისუფალი მიწა საქართველოში რუსებს უნდა ეკუთვნოდეთო. ჩვენ დიდ-ხანს ვსდუმდით და ეხლა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა წააგეს იმ ერებმა, რომელნიც არა სდუმდნენ და რა მოვიგეთ ჩვენ ამ ხანგრძლივ დუმილით. ჩვენ ვსდუმდით, როდესაც საქართველოს ეკლესიას ქონება ჩამოართვეს, სომხები კი არა სდუმდნენ, როცა მათ ეკლესიას ქონება ჩამოართვეს. ამიტომ მთელი ქვეყანა მათ თანაუგრძნობს, ჩვენზე კი ამბობენ, მკვდარი ხალხიაო. მაგრამ ჩვენ მკვდარი არა ვართ, ჩვენი სული დაჩაგრული არ არის. ჩვენთვის მეტად საჭიროა ავტონომია. მეცნიერება ამტკიცებს, რომ ავტონომია ერთად-ერთი გზაა იმისი, რომ ხალხის ბედი კარგის გზით სწყდებოდეს.

**მ. გედევანიშვილი.** რუსეთის საზოგადოებამ გამოსთქვა თავისი სურვილი დამფუძნებელ კრების შესახებ. ქართველი საზოგადოება მას უერთდება. მხოლოდ უსირცხვილო და თავგასულმა ბიუროკრატიამ შეთხზა ცილისწამება საქართველოს რუსეთისაგან განცალკევების შესახებ. ვინ იტყვის, რომ ფინლიანდიის ავტონომიამ მოსწყვიტა ფინლიანდია რუსეთს. ავტონომიის ხსენება აშინებს მხოლოდ ზოგიერთ ჩვენს თავად-აზნაურებს. რუსეთის ცენტრალური დაწესებულება ვერ გაიგებს ჩვენს საჭიროებას. ხალხმა გააუქმა თავისი სასამართლოები და სამმართველოები და თვით-მმართველობა დააწესა. ნამესტნიკის დეპეშაში ნათქვამია, ხალხი ძარცვა-გლეჯის გზას დაადგაო. ყველა ეს პოლიციის მოხსენებამ ჩააგონა ნამესტნიკს. პოლიციელები კი იმის შესახებ სდუმან, თუ რა ზნეობრივი კავშირი შეჰქმნა ხალხში დღევანდელმა ერთობამ, როგორ შემცირა ქურდობა, როგორ გამოაღვიძა ხალხი მის მიერ შექმნილმა თვით-მმართველობამ.

**ილია ჭავჭავაძე.** თუ გვსურს ხალხის სახელით ვითხოვოთ რამე, უნდა გავიცნოთ ხალხი და მისი აზრი. იმას ვთხოულობთ, რომ მოგვცეს საშუალება გავიცნოთ ხალხი, იმისი აზრი და მოთხოვნილება. ამ საკითხში უნდა შეერთდნენ ყველა დასები, მიმართულების განურჩევლად.

**ივ. ს. ჯაბადარი.** დღეს ჩვენ ხალხის სახელით ავტონომიას ვთხოულობთ. ეს მოგვაგონებს იმ დროს, როცა ხალხის სახელით ჩვენი მეფეები რუსეთთან შეერთებას თხოულობდნენ. ხალხის სურვილი კი მაშინ არა სჩანდა. ეხლაც არ გავებათ ამ მახეში. ჩვენ ხალხთან ერთად უნდა მოვაწეროთ ხელი დადებულ აქტს. და ამიტომ ხალხის სურვილი უნდა შევიტყოთ. სიმართლეს მოკლებულია, თითქოს ჩვენ ავტონომიის წინააღმდეგნი ვიყოთ. რუსეთთან შეერთების ხელშეკრულობით ავტონომია კი არა, მეტიც, უნიაც შეგვიძლიან ვითხოვოთ. ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ საქმეს. მიეცით საშუალება ხალხს, გამოსთქვას თავისი აზრი და სურვილი.

**ივ. რატიშვილი.** ჩვენი მოთხოვნილება უნდა დავამყაროთ რუსეთთან შეერთების ხელშეკრულობაზე. მოვითხოვოთ ის, რაც რუსეთის ხელმწიფემ აღგვითქვა შეერთების დროს.

კენჭის ყრის დროს ავტონომიას კრების დიდი უმრავლესობა აღმოუნდა მომხრე. ამრიგად, თავად-აზნაურობამ არა მარტო პრინციპიალურად გადასწყვიტა ეს საკითხი, არამედ ადრესის სახით პრაქტიკული მსვლელობაც მისცაც მას. ხოლო აქ უნდა გვახსოვდეს ერთი გარემოება, ამ საგნის გარკვევა-გამორკვევაში თავად-აზნაურობის დიდ ნაწილს (სოფლის მემამულეთ) მონაწილეობა არ მიუღია. კრებას დაესწრნენ ქალაქში მცხოვრები თავადაზნაურნი. ეს თავისუფალი პროფესიის ხალხი, ქართულ ინტელიგენციის ნაწილი არამც და არამც არ ჩაითვლება წოდებრივობის გამომსახველი და მოსარჩლე თავად-აზნაურობად. ეს გარემოება ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში ზემოდ აღნიშნულ მოვლენის დაფასების დროს. სოფლის მემამულეთა აზრი ჩვენ არ ვიცით. მაგრამ იმ ხანების ვითარების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართლის თავადაზნაურობის ერთი ნაწილის გარდა, დანარჩენ საქართველოს თავად-აზნაურობა შეიწყნარებდა ავტონომიას იმისთვის რომ ეკითხათ საკითხის გადაწყვეტის დროს. შეიწყნარებდა არა მამულისშვილურის მოსაზრებით, არამედ იმიტომ, რომ მას სხვა გზა არა ქონდა. მთავრობა დასუსტებული და დაბეჩავებული ეგულებოდა, ხალხი კი მის წინააღმდეგ იერიშით მოდიოდა. ავტონომია მას, როგორც წოდებას, არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა, რადგან დემოკრატიულ ნიადაგზე აშენებული იგი დემოკრატიას წვრილ მესაკუთრეთ, ჩაუგდებდა მართვა-გამგეობის უფლებას. მაგრამ ავტონომია მაინც განსაზღვრული პოლიტიკური წესია და მას ეს მისთვის საზარალო წესი ერჩივნა სრულს გაუქმებას კანონებისას და მმართველობისას, რომელიც იმ ხანებში იყო ჩვენში.

თავად-აზნაურობის კრებებს იმ ხანებში დიდ-ძალი გარეშე ხალხი ესწრებოდა. კრებები იმართებოდა თ. ქობულაშვილის სახლის დიდ დარბაზში. დამსწრენი მხურვალე თანაგრძნობით მიეგებნენ ავტონომისტების გამარჯვებას. გარეშე პირებიდან წამოსდგნენ ორატორები. მათ ყველანი გულის ძგერით უსმენდენ. თავად-აზნაურთა კრება საჯარო კრებად გადაიქცა. ერთმა ახალგაზდა კაცმა, აღელვებისაგან გაფითრებულმა, ხმის კანკალით შემოსძახა კრებას: დაიფიცეთ, რომ არ უღალატებთ ავტონომიის საქმესაო.—ვფიცავთ. არ ვუღალატებთო, ერთის ხმით დაიგრიალა საზოგადოებამ.

ამ ამბების შემდეგ რამდენმა წელიწადმა გაიარა. განვლილი დრო ბევრს სიზმარი ჰგონია ამ ჟამად. დღეს უწესო ლაპარაკი და ფუჭი ოცნება დაგმობილია. და სათავადაზნაურო საკრებულოს სადგომში სავსებით დაცული და გამეფებულია ეტიკეთი და დარბაისელი პოლიტიკის რეჟიმი. ფიცი არამც თუ თავადებმა, არამედ იმათაც, რომელნიც თავადებს „ზევიდან" დაჰყურებენ, დაივიწყეს! კიდევ ითქმის—„დრონი მეფობენო".

ასეა თუ ისე, ყველა ამ ამბებს ავტონომიის მოძრაობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, სოციალ-დემოკრატებმა ყოველივე ეს ავტონომიის წინააღმდეგ გამოიყენეს,—ხომ გეუბნებოდით, რომ ავტონომია თავადების საქმეა, აი ეხლა თქვენც დარწმუნდით, რამდენად მართალნი ვიყავითო. და ხალხიც უჯერებდა და უფრო სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ავტონომისტებს.

**არჩილ ჯორჯაძე.**

---

[8]) „ცნობის ფურცელი" 2 აპრილი 1905 წ.

11 ივლისს დააპატიმრეს 7 უპასპორტო აცი.

✦ 12 ივლისს, საღამოს 10 საათზე სამარის გუბერნის მცხოვრების ბენედიქტე პოოსის ბინაზე სტუმრად მიპატიჟებულნი ყოფილან ანტონ პაალი და მიხეილ ბაუერი. ღვინის სმის დროს სტუმართ-მასპინძლის შორის ჩხუბი ამტყდარა პოოს და პაალს დანით დაუჭრიათ მიხეილ ბაუერი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გიგზავნეს. ხოლო პოოსი და პაალი დააპატიმრეს.

✦ 12 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სიონის ქუჩაზე მცხოვრებ სიღნაღის მცხოვრებს მოსე ქემაშვილს მუცლის ტკივილი ავარდნია. ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. ავადმყოფმა განაცხადა, მომწამლა ჩემმა ცოლმა სოფიო ქემაშვილმა. ცოლი დააპატიმრეს.

✦ 11 ივლისს ნახიჩევნის მაზრის მცხოვრებმა სტეფანე კარაპეტოვმა პოლიციაში განაცხადა: 10 ივლისს დამიხვა უცნობმა თათარმა და დამავალა ნივთების გადაზიდვა. როდესაც მივედით ბურდიუჰნი ქუჩამდე აქ ჩვენთან მოვიდა კიდევ ორი უცნობი კაცი და მამთხოვა ფული. როდესაც უთხარი, ერთმა სილა გამარტყა ამომაცალა 37 მან. და მერე სამივენი მიიმალნენო. ერთი პოლიციამ დააპატიმრა. იგი გამოდგა დავ. ყურაშვილი სიღნაღის მაზრის მცხოვრები.

**შეცდომის გასწორება.** კვირის №-ში, ი. ევდოშვილის ლექსში, შემდეგი კორექტურული შეცდომაა: ბოლოდან მეთერთმეტე სტრიქონში გვითუღობთ: „პირველი სატრფო, ეს მეცილება“. უნდა იყოს: „ეს გეცილება“.

## ჩემი შენიშვნა
(დასასრული *)

ეხლა ვიკითხოთ, ვინა სთქვა, ანუვის ეკუთვნის ამ სახში ეს ლექსი? ამაზე პასუხის მიგება სიხიფათოდ მიმაჩნია და როგორ უნდა ვინმე დავაჯეროთ, იმ დროს, როდესაც ერთი ამბობს რამე თქმულებას, მასვე მეორე,—შორს, თუნდ მეორე კუთხეშიც,—არ იტყოდეს, იმეორებდეს იმასვე. ერთი რამ გვიწყდება: ყოველივე ხალხური მითია ლიდესული, რომ იგი ერთს კი არა, მთელ ხალხს ეკუთვნის, ხოლო ეს თვისება აძლევს ამ ნაირ ნაწარმოებს იმ შემძლებლობას, რაითაც იგი უძლებს ჟამთა მიმდინარეობას. ხელოვნების ყველა ნაწარმოები კი, რაკი ერთხელ შეიქმნება და გაჩნდება, დამოკიდებულია დროჟამზე იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოქმედებებს პირველზე თავის გამანადგურებელ ხელით. ყოველი ხალხური ქმნილება შეიცავს რაღაც გენიოსურ ფარულ ძალას და რამდენათაც ეს ძალა მძლავრადაა მოთავსებული ნაწარმოებში, იმდენად შეუდრეკელია იგი დროჟამის წინაშე. ის ქმნილება, რომელსაც ხალხნი თავისუფლად თხზავს, ერთსა და იმავე დროს ფილოსოფიურად აუცილებელიც ხდება მის ცხოვრებისთვის, რადგან, როგორადაც ორგანიულად გაერთებული ნაწარმოები შეიცავს ფარულ ენერგიას განვითარებისათვის. ეს თვისება და ღირსება რომ არა ქონდეს ხალხურ ნაწარმოებს, მაშინ ხომ ყველა თქმულება რაღაც ლაზღანდარული, რამე შეუტვგირული იქნებოდა და სხვა არაფერი. ამის მიხედვით სულ ტყუილია ვისიმე ცდა ავტორის ამოცნობისა, იგი მრავალ ტანჯულად შობა ხალხმა და უმნიშვნელო—რუსულად რომ ვსთქვათ, —Натяжка объяснить необъятное,— უხოლოდ ხალხურ ქმნილების დამცირება იქნება.

ხალხური ქმნილება თავისუფალია და, ვითა ფრთა შეუკვეცელი მერცხალი, დაჰქრის ერთ კიდედან მეორემდე. აი რატომ არის დღემდე მეცნიერებაც და მწერლობაც უძლური ხალხურ ნაწარმოების წინაშე, რატომ არის რომ იგინი დღემდე ვერავის აღუნიშნავს უნაკლულოდ და სრულად. ბევრ მაგალითიდგან ესეც კმარა ამ აზრის დასასაბუთებლად.

თედო რაზიკაშვილი ამბობს „ვეფხ“ „ჭრელი ბერა“ ხალხური იყოსო. რატომ! თითქმის იძლევა პასუხს. იმიტომ რომ ნაწარმოები ნამეტანი დიდია, მაგდენს როგორ დაისსომებდა ხალხიო. განა რაზიკაშვილს არ ნაუწერია ზღაპარი? არ მოუსმენია თქმულება-ლეგენდა? განა მათი სიდიდე განისაზღვრება ორი—სამი სტრიქონით! რა არის ზღაპარი, ლეგენდა თუ არა იგივე, ხალხური, ხოლო სხვა ფორმით გადმოცემული! მიბრძანეთ: არსენას ლექსი ხალხურია თუ არა? თუმცა იქნება კიდეც იცნობთ მის მთქმელს. მოგისმენიათ მესტვირებისაგან ეს ლექსი—ერთისაგან, თუ არა? უფრო შორს წავალ! მე მჯერა რომ „ვეფხვის ტყაოსანი“ ხალხიდან არის აღებული, ოდესღაც ერმა ეს თქმულება თავით ბოლომდე ზეპირათ იცოდა; გაგეგონებათ, ამა და ამან „ვეფხვის ტყაოსანი“ იცოდა ზეპირადაო. უწინ მზითვათ ატანდნენ „ვეფხის ტყაოსანს“ გასათხოვარ ქალსაო, და სხვა. სხვა რომ არა იყოს რა რას ამტკიცებს ეს ამოდენა თქმულება გავრცელებული ხალხში „ვეფხის ტყაოსნიდგან“ ლექსად, თუ პროზად? რითი და მიმტკიცებთ, რომ რუსთაველმა ხალხზე წინად სთქვა ეს ლექსი თქმულება? მე ისე მოხუცი არ მინახავს მთაში, თუ ბარში, რომელსაც რამე არ ეამბნოს ტარიელზე, ავთანდილზე და რუსთაველის სხვა გმირებზე.

> ავთანდილ, ფრიდონ, ტარიელ
> ძმათ გაფიცულნი არიან,
> გმირთა სახელი, მარჯვენა
> ზეცით ნაკურთხი არიან და სხვა.

ანუ კიდევ:

> ტარიელ, დავსვი ხელმწიფედ,
> საქმე შენ გაგაბჭობინე,
> თუ დარეჯანი გიყვარდა
> რატომ არ შემატყობინე

ანუ:

> ტარიასებულ ვაჟკაცობ,
> განა გეზრახვის გმირობა!
> ნასროლს არ აცდენ მტრისასა
> მენატროს შენი შვილობა. და სხვა

მრავალი ლექსი რას ამტკიცებს თუ არა ჩვენი აზრის სიმართლეს? მაშ თუ არა ხალხისაგან შესაძლებელი იყო „ვეფხის-ტყაოსნის“ თქმა, განა სასწაულად უნდა ჩაითვალოს „ჭრელი ბერას“ ლექსი? ხოლო თუ ეხლა „ვეფხის-ტყაოსანს“ აღარავინ იტყვის და „ჭრელი ბერას“ გვაკვირვებს, ეს სავალალო და სატირელი მოვლენაა და სხვა არაფერი. განა ვისთვის არ არის ეხლა ცხადი, რომ დავეცით სულით. ისე გაურბივართ ქართულ ენას და ყველა ქართულს, როგორც ცეცხლს. უწინ თავსა სდებდნენ მამულისთვის, ეხლა კი მზადა ვართ გავყიდოთ სამშობლო, ხელი ავიღოთ სინიდისზე, ნამუსზე და ჭეშმარიტ რუსთა კავშირშიაც ჩავეწეროთ. აი ამისთანა უბედურ ხანაში რომ რამეს ვხედავთ, როგორც ცაზე გასრბოლილს აეროლიტს, რომელიც მიბდღვნურ, მიხურ ენით არ გველაპარაკება, უსაზღვროდ გვაოცებს და კიდევ გვიმინებს. ესეთივე ბედი ეწვია „ჭრელ ბერას“ დასტამბვას.

ყოველ შემთხვევაში თედო რაზიკაშვილის წერილმა ზოგს საბაბი მისცა ეფიქრა, რომ კარგარფულს რამე რვეულები აქვს მოპოვებული არა სიმღლო გზით. ჩვენი დანიშნული კი მარტო ის არის, რომ რასაც ათასი და ათი ათასი ხნის, ესე იგი, ჩვენ მიერ ჩაწერილი ლექსსა თუ სხვა რამეს, როდესაც გბეჭდავთ, ჩვენ გვარს ვაწერთ.

აქვე მოგვყავს ლექსი, ჩაწერილი დიდიძლა ჩემისაგან სოფ. ერთაწმინდაში:

> გადავლო მთანი მაღალი,
> ველ-მინდორნი ანამწვანი,
> მივადა მოუმე რამ ნახა
> არ თუ მზისა დასადარი.
>
> ენა წყლიანმა უამბოს
> სატრფოსგან შემონათვალი,—
> გულსა სიმღი აავღერა,
> ვითა ხმა-ტკბილი ათძალი
>
> გული დაჰხსნე კაეშანსა,
> ლხინი გმართებს, არ თუ ზარი,—
> ამას ეტყვის ვარდსა ჩაკრუდ,
> მუნ გლახ იყოს კოკობ მზრალი.
>
> სართს ტანს თავის ეელბოდეს
> თვალ-წარბ ზურმუხტ მენათხზარი;
> იადონი ცრემლს ანთხევდეს,
> ბულბულ ჰკვნესდეს აღნაგზნარი
>
> რადა ირგოს აწ მებადემ
> ოდეს ნახოს ფერნამკრთალი,
> გულის წყლულს რა ასაღმუნებს,
> ნუგეშს ვით სცემს სილვა მკრთალი
>
> ბაგე გააშო, გამოჩნდა
> კბილი აღმასებრ ნათალი,
> მთას იქით მუქი გარდაჰკრა
> მზის სხივი ჰქმნა ნათალი.
>
> თვალთაგან ზვირთი ცრემლისა
> ცრემლსა მოსკდა, სჩანს ნაფრალი,
> მუნ წამწამთ წყლის პირს ნაზარდთა
> რხევა იწყეს, ვითა მთვრალი.
>
> ძლივს და დაჰყო სულის თქმასა,
> გაუნითდა აწ სამყარი,
> ძმათა მკერდი-მკერდს შეეწბოთ,—
> ნანასს ვით უხნდეს სამზღვარი!
>
> მოვისმინე.—მუნ ეტყოდა,
> სატრფოსგან შემონათვალი,
> აწ-და ვეცან მიჯნურობა,
> მის გზას დავდვა მონათვალი,
>
> შენგან კიდევ მე სულთ ქმნილმა
> ვით შეგწონო მონათვალი!
> შემიწირე, გემმხლებლები
> ვიდრე ფეთქდეს გული, თვალი!

**ი. კარგარეთელი.**

*) იხ. „დროება“ N 153.

## ოსმალეთის ამბები

**კონსტიტუციის გამოცხადების წლის თავი და ამნისტია.**

მთელმა ოსმალეთმა დიდის ამბით იდღესასწაულა კონსტიტუციის გამოცხადების წლის თავი. სულთანმა გამოაცხადა ამნისტია: სამართალში აღარ მიიცემიან ის რეაქციონერები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 31 მარტის კონტრ-რევოლიუციაში, გარდა საზღვარ-გარეთ გაქცეულთა და პროვინციებში დამალულთა. ბევრს, ვისაც სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილი, ეს სასჯელი კატორგად შეუცვალეს. ამნისტია არ შეეხება იმ დამნაშავეთ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ადანის ამბებში, ესე იგი სომხების აკლებას და ხოცვაში; ეპატიებათ მხოლოდ იმათ, ვინც ბრმა-ყრუდ აჰყოლიან ბოროტ-გამსრახველთ.

**ფინანსთა ახალ მინისტრის მოქმედება**

ფინანსთა ახალ მინისტრს ჯავიდბეის, ახალგაზდა ოსმალთა პარტიის ერთ-ერთს მეთაურს, თავისი პროგრამა გაუცვნია „პოლიტ. კორესპონდენც“-ის კორესპონდენტისთვის.

ახალი მინისტრი თავდაპირველად აპირებს ფინანსთა სამინისტროს მოხელეთა რიცხვის ნახევრად შემოკლებას. ამ ჟამად მათი რიცხვი დაახლოვებით ადის 800-მდე. ამით მინისტრი ხარჯსაც შეამცირებს და სამინისტროს საქმის წარმოებასაც გაადვილებს. მაკედონიის საერთაშორისო საფინანსო კომისიის (ამ ჟამად ეს კომისია გაუქმებულია) ინგლისელი, ფრანგი და იტალიელი წევრები ოსმალეთის ფინანსთა სამინისტროს სამსახურში მოიწვია ჯავიდმა; ამას გარდა, იგი მოიწვევს კიდევ სხვა მოხელეებს უცხოელთა ბანკებიდან 12 ყმაწვილ კაცს ერთის წლის გაგზავნიან საფრანგეთში იქაურ საფინანსო წესების გასაცნობად. იქიდან დაბრუნების შემდეგ მათ დანიშნავენ საფინანსო საქმეთა ინსპექტორებად. ამ ჟამად ოსმალეთის მთავრობა სტამბოლის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების დახმარებით არჩევს ფულის რეფორმის პროექტს აგრეთვე თამბაქოს გამართული, უნდა გაგრძელდეს თამბაქოს მონოპოლიის კონცესიის ვადა, რომელიც 6 წლის შემდეგ გათავდება, თუ მთავრობამ თითონ იკისროს თამბაქოს მონოპოლიის მმართველობა... წლის ოსმალეთის ბიუჯეტის დეფიციტი ადის 3,806,170 ოსმალურ გირვანქამდე (ოსმალური გირვანქა დაახლოვებით $8^1/_2$ მანეთია) მინისტრს უღლება აქვს, რომ ამ დეფიციტს თანდათან შეამცირებს.

**ალბანელთა კრება.**

10 ივლისს, რევოლიუციის წლის თავზე, ქალ. დიბრაში ალბანში მოხდა ალბანელთა და სხვა ერების წარმომადგენელთა კრება, რომელთაც მოილაპარაკეს კონსტიტუციის დაცვასა, ალბანიის დამშვიდებაზე და ოსმალეთის პატრონობაზე, კერძოდ კუნძულ კრიტეს საქმეზე.

## კრიტოსის საქმე

ინგლისელ დიპლომატთა წრეებს მეტად აფიქრებს კრიტეს საქმე. ხმა დადის, რომ გერმანია და ავსტრია დახმარებას დაჰპირდნენ ოსმალეთს, თუ მას შეტაკება მოუვა საბერძნეთთანაო.

საბერძნეთი რაზმებს აარსებს კუნძულ კრიტეზე და იარაღს ურიგებს კრიტელებს, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიონ ოსმალეთის ჯარს იმ შემთხვევაში, თუ ომი მოხდა. საბერძნეთის მთავრობამ ამ საქმისთვის 5 მილიონი ფრანკი ისესხა ათონის ბანკებში.

ხმა დადის, რომ მონასტერში ოსმალებმა დაატუსაღეს საბერძნეთის კონსულიო. (ვ. მ.)

## მოწერილი ამბები

**ზემო-ქართლი.** ზემო ქართლი საქართველოს ერთი უმშვენიერესი და ბუნებით უხვიდრესი კუთხეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მკვიდრნი ძალზე დაქვეითებულნი არიან. უმთავრესი მიზეზი დაქვეითებისა და გადატაკებისა გახლავთ მამულის სივიწროვე, ათას გვარი გადასახადი და ზოგიერთი მებატონის უჯიათობა. ამ ჯურის მებატონეებმა ეხლანდელ რეაქციის დროს ერთი ორად უმატეს სისასტიკეს. ადგილობრივი ადმინისტრაციაც მათვის სულ ფეხზე ტრიალებს. გლეხს სასამართლოებში სიარულის თავი არ აქვს და რაც უნდათ იმას უშვრებიან.

ზოგიერთა მემამულეებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი საბალახოების მოკრებას. რამდენიმე კაცი დადის სოფელ-სოფელ და აგროვებს საბალახოს. ამათ ხელში უჭირავთ ქაღალდი ყველა მემამულისაგან ხელმოწერილი, რომ საბალახო უსათუოდ ყველასაგან აიღონ. საბალახოების მოკრებამ ხალხი თან ძალზე შეავიწროვა და თანაც ძალზე დაალონა, რადგან აქამდე არ უძლევიათ და ეს ახალი გადასახადი ამ სისხლის ბურის ჭამის დროს გამოატყვრინეს.

წელს მოსავალი როგორც პურისა, ისე სიმინდის და ქერისაც ზემო ქართლში ძალზე ნაკლებია და დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. აღარც სხვა მუშაობა სადმე. მოსალოდნელია შიმშილი. მიუხედავად ასეთ გაჭირვებისა, მომრიგებელი შუამავალი დაიარება სოფელ-სოფელ და გლეხობას უცხადებს, მებატონეებს ყველა გადასახადი გადაუხადეთო.

გაზეთებში დაბეჭდილმა ამბავმა, რომ სამხედრო წესები აიხსნაო, ძალზე გაგვიხარა ყველა. გვეგონა, ხალხი ამას იქით პატარა თავისუფლად ამოისუნთქებს სტრაჟნიკ-მამასახლისებს მოგვაშორებენ და ჩვენსას აგვარჩევინებენო, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე არა ისმის-რა. უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ზემო-ქართლი მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისების ხელშია. ამათ კი არც შებრალება იციან, არც სხვა რამ. გლეხებს უცქერიან ისე, როგორც მონებს. ერთი კიდევ ეს რაღაც ყარაულობა შემოიღეს, ამან სულ დალუპა ხალხი. ყარაულები მოვალენი არიან იყარაულონ როგორც დამე, ისე დღე. თუ რომელსამე მოასწრეს, რომ ან სახლში შევიდა, ან პატარა წაუძინა და გზაში ასასივით არა სდგას, ვინ იცის რა უბედურებას არ დააყრიან. ყოველი სტრაჟნიკი, თუ მამასახლისი ამ ყარაულების ბატონ პატრონია. ხშირად სულ უბრალო რამეზე ელახება სტრაჟნიკი ყარაულებს. ყარაული ვთქვათ სოფლის თავში დგას, სტრაჟნიკი შეიამიზეზებს, რატომ ბოლოში არა დგეხარო, ბოლოში დგას, რატომ თავში არა დგეხარო. ყარაულები მოვალენი არიან აგრეთვე, რომ სტრაჟნიკის ცხენებს ღამე ბოსლებში უყარაულონ.

**ზემო ქართლელი.**

## რუსეთი

✦ **ახლო წარსულიდან.** ეხლახან გამოვიდა ვლადიმერ სემიონოვის წიგნი „სისხლის საფასური“. სემიონოვი რუსეთ-იაპონიის ომის დროს ადმირალ როჟდესტვენსკის ადიუტანტი იყო. ცუსიმის ომის დროს სემიონოვი იაპონელებმა, სხვებთან ერთად, ტყვეთ წაიყვანეს. როდესაც რუსეთი და იაპონია შერიგდნენ, სემიონოვი სამშობლოში დაბრუნდა. სემიონოვთან ერთად სამშობლოში დაბრუნებულან მატროსები, და სალდათები და 55 აფიცერი. წამოსულან გემ „ვორონეჟით“. გზაში მატროსები და სალდათები აღელვებულან. ყოველ საათს მიტინგებს მართავდნენ. აფიცრები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივნულან, რადგან მატროსები დახოცას უპირებდნენ. 56 აფიცრის მდგომარეობა მით უფრო საშიში გამხდარა, რომ სულ 5 რევოლვერი ჰქონიათ, მეტი არაფერი. აფიცრები ყოველ წუთს თავდასხმას ელოდნენ. მატროსებმა აფიცრებს წერილი გაუგზავნეს, რომელშიაც იმუქრებოდნენ, ზღვაში გავალთ თუ არა, ყველანი წყალში ამოჰყოფთ თავსაო. 4 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე დაჭრილ ადმირალ როჟდესტვენსკის მთვრალი მატროსი შეუვარდა და ამხანაგებისთვის არაყი მოსთხოვა: „ჩვენ სისხლი დავღვარეთ... (დიდის გონება). რატომ არა გრძნობთ. ამასთან ეხლა თავისუფლებაა! მატროსი ადმირალის კაიუტიდან გაიყვანეს, დაპატიმრება უნდოდათ მაგრამ ამხანაგებმა ნება არ მისცეს აფიცრებს ეს აესრულებინათ. როდესაც საქმემ უფრო ცუდი მიმდინარეობა მიიღო, „ვორონეჟი“ ადმირალის ბრძანებით ნაგასაკისკენ წავიდა, რადგან უფრო ახლო—იყო, სანამ ვლადივოსტოკი მატროსები აღელდნენ, ვლადივოსტოკში უნდა წავიდეთო. ვლადივოსტოკში ამ დროს არეულობა იყო. მივედით ნაგასაკში. აქ მატროსები და სალდათები შეიკრიბნენ და დაადგინეს: თუ ხვალ ვლადივასტოკში არ წავედით, ორივე ადმირალი წყალში გადავყაროთ დავხოცოთ ვინც მათ მიექომაგებათ და გემი ხელში ჩავიგდოთ. ამ გადაწყვეტილების შემდეგ „ვორონეჟის“ კაპიტანმა ნაგასაკში იაპონიის მთავრობას შეატყობინა ეს და დახმარება სთხოვა. მალე იაპონიის პოლიცმეისტერი მივიდა. მან სთქვა, ჯარი ჯერ არ მოსულა, ხვალ მოვა სახებოდან და მანამდის გემს პოლიციელები დაიჭერენო. სანამ არ დავიხოცებით მანამდის ვერას გახდებიან აღელვებულები. საღამოს 11 საათზე იაპონიის პოლიციელები გემზე ამოვიდნენ და აქა-იქ ჩასაფრდნენ. ეს ამბავი ისე მოხდა, რომ არავის გაგვიგია, არც მატროსებს და არც აფიცრებს. საკვირველია, როგორ მოახერხეს ეს, მატროსები და სალდათები ამას არ ელოდნენ. რადგან წინ და წინვე შთაგონებული ჰქონდათ, რომ იაპონელები წინამდეგობას არ გაგვიწევენ, პირიქით დაგვეხმარებიანო. მატროსები და სალდათები დაწყნარდნენ. თუმცა მოთავეები აქეზებდნენ, იარაღით წინამდეგობა გაუწიოთო, მაგრამ უშედეგოდ, მეორე დღეს დილით მივიდა იაპონიის ოთხი ნაღმოსანი. ნაღმოსნების მოსვლამ ისე იმოქმედა, რომ სალდათები და მატროსები კაპიტანთან მიდიოდნენ და ბოდიშს იხდიდნენ, „გაგვაბრიყვეს ყველაფერი ეს ერთი ორი სამი კაცის საქმეაო“ და სხვა. მეორე დღეს რაკილა რუსი გენერალი დ. მან მეთაურების გაცემა მოითხოვა, მაგრამ ვერას გახდა, „მეთაური არავინ გვყავნდა, ყველანი ერთად ვმოქმედებდითო“ მიიღო პასუხი. სემიონოვს სხვათა შორის, მატროსების და სალდათების შემდეგი მოთხოვნა მოჰყავს. მთავრობა ოვითო სალდათის შესანახად 600 მანეთს იძლევა წელიწადში მაოტო 50 მანეთს გვაძლევთ, რას უშვრებით დანარჩენ 550 მანეთს, მოგვეცითო როდესაც აფიცრებს აუხსნიათ, რომ მთავრობას 600 მანეთის მიცემა არ შეუძლია, სალდათებს არ დაუჯერებიათ, როგორც გინდათ ისე გვატყუებთ, მაგრამ მალე მოგისპობთ სიცოცხლესაო. ამრიგად იაპონელების წყალობით გადარჩნენ ას აფიცერი და ორი ადმირალი.

✦ **პოლიცია.** ექვს ივლის პოლიციამ ეკატერინოსლავში დააპატიმრა რადზიშევსკი, რმდზიშევსკის სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ბრალდებოდა. იგი ამ რამდენიმე ხნის წინად შეიპყრეს და ეკატერინოსლავს მაძებარ პოლიციასთან დააპატიმრეს. მაგრამ რადზიშევსკი აქედან გაიქცა, ასე რომ პოლიციას ხელმეორედ დასჭირდა მისი დაპატიმრება ამაზე „რეჩს“ ეკატერინოსლავიდან დეპეშითატყობინებენ: რადზიშევსკიმ განაცხადა, მაძებარ პოლიციიდან პოლიციის აგენტებმა გამაქციეს, რისთვისაც ფული მივეციო. შემოსავლის კარგი წყაროა, თითონ აპატიმრებ მერე ფულს იღებენ უშვებენ და შემდეგ ისევ აპატიმრებენ!!

✦ **შუამდგომლობა არ შეიწყნარეს.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება მინსკის ქალაქის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა, ხმოსანი შმიდტი (სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი. ეს შმიდტი სახელმწიფო სათათბიროდან გააძევეს) თვითმართველობიდან გააძევეთო. რუსეთის გაზეთების სიტყვით მთავრობას არ შეუწყნარებია ქალაქის ეს შუამდგომლობა!!

✦ **აკრძალვა.** „რეჩს“ ეკატერინობურგიდამ დეპეშით ატყობინებენ: ადგილობრივმა ცენზორმა გაზეთებს აუკრძალა გარტინგ-ლანდნზე წერა. გაზეთებს არ შეუძლიან სატახტო გაზეთებიდან გარტინგის შესახებ ცნობები გადაიღონ.

✦ **ერთ-ერთი დამხმარებელი კასა.** სოფლის მასწავლებლებს გადაუწყვეტიათ დაარსონ ერთ-ერთი დამხმარებელი კასა. სოფლის მასწავლებელთა რიცხვი ამ ჟამად 50,000 სულს უდრის, მათი უმეტესობა უზრუნველყოფილი არ არის და მოხუცებულობის დროს შიმშილი და ათასი სხვა გაჭირვება მოელით. ესეთი კასა, რა თქმა უნდა, ცოტად მაინც შეამსუბუქებს სოფლის მასწავლებელთა უკანასკნელ დღეებს.

✦ **ლეონიდ ანდრეევი.** ცნობილმა მწერალმა და დრამატურგმა ლეონიდ ანდრეევმა დაასრულა პიესა „ანათემა“. ეს პიესა ჯერ არსად წარმოუდგენიათ. ერთ გამომცემელს ლეონიდ ანდრეევისთვის მიუმართავს, სანამ სცენაზე „ანათემას“ წარმომადგენდნენ მე გამოვცემ და რამოგცეო. ლ. ანდრეევს ერთ დაბეჭდილ თაბახში (თაბახში 32 გვერდია) 2,000 მანეთი მოუთხოვია. გამომცემელს უარი უთქვამს წიგნის გამოცემაზე.

✦ **ბატონ-ყმობის ნაშთები.** სადგურ საზანოვკას (რიაზან-ურალის რკინის გზა) უფროს ზ.ნოზანს გუთანში ცხენის მაგიერ შეუბავს სადგურის ოთხი მოსამსახურე და უბრძანებია, ბოსტანი მოეხანათო. მოსამსახურენი ისე დაღალულან, რომ ერთი მათგანი ავად გამხდარა. ერთი მოსამსახურე 65 წლისაა, მაგრამ ცხენის მაგიერობას მაინც სწევინებენ. ესევე უფროსი ამავე მოსამსახურეებს რიგ-რიგობით თავის ბოსელში ჰგზავნის, ეს უკანასკნელნი მოვალენი არიან მის ძროხებს ბუზები არ მიაკარონ! სადგურის „პატივცემულ“ უფროსს ალბად დაავიწყდა რომ რუსეთში ბატონყმობა აღარ იყოს!!. (რეჩი.)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბეპიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აეეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ი. კ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—126)

**შემთხვევით**
**იყიდება**
**ორ სართულიანი სახლი**
მატერიალნი ქ. № 10. წყნეთის ქუჩის ახლოს პირობების გაგება შეიძლება იქვე. (3—334—1)

◀ სიკვდილი ▶
**ბაღლინჯოებს!**
ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.
დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—6)

**იყიდება**
**სასმელის დუქანი**
თამარის ქუჩაზე (მე-9 ნაწილი), № 19. მოლაპარაკება დუქნის პატრონთან. (6—331—5)

**კანტორა და საწყობი**
**„სპერმატინისა“**
და
**„ალმეზისა“**
გადიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—24) **ი. ახობაძე.**

სტამბა „სინათლე“ დიდ ვანქის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.